ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2015 წლის 29 იანვრის ოქმი

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდა 28 წევრიდან - 21

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
2. ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
3. ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: დ. ოსეფაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
4. მაგისტრატურის 2015 წლის ანკეტა - კითხვარის დამტკიცება
   მომხს: დ. ოსეფაშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
5. რექტორის №22/04 ბრძანებით გამოცხადებული საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის განხორციელების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
6. კონკურსის გამოცხადება ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
7. თსუ ინტერდისციპლინურ ცენტრში ფაკულტეტის წარმომადგენლის დასახელება
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
8. ასოცირებული პროფესორის, ია იაშვილის განცხადების განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი
9. მე-6 კორპუსის №105 აუდიტორიისათვის გ. ჯიბლაძის სახელის მინიჭების შესახებ

მომხს: თ. დოლბაია, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის აუცილებლობის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თ. დოლბაიამ და კანონით გათვალისწინებული რეგულაციების შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს მდივნის კანდიდატურად წარადგინა ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი.

აზრი გამოთქვეს: დ. ოსეფაშვილმა, მ. გერსამიამ, ზ. დავითაშვილმა და სხვა.

დაადგინეს: ღია კენჭისყრით, ფაკულტეტის საბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი.

მოისმინეს: 2. თ. დოლბაიამ წარმოადგინა ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, თ. მახარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცებულ იქნეს ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტი წარმოდგენილი ფორმით (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის კურიკულუმში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა დ. ოსეფაშვილმა.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. მაჭარაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის კურიკულუმში შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები (ოქმს თან ერთვის).

მოისმინეს: 4. მაგისტრატურის 2015 წლის ანკეტა – კითხვარი საბჭოს წევრებს გააცნო დ. ოსეფაშვილმა.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ დას ხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის 2015 წლის ანკეტა – კითხვარი (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა, თ. დოლბაიამ ისაუბრა რექტორის №22/04 ბრძანებით ფაკულტეტებზე გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის განხორციელების შესახებ და წარმოადგინა საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის განხორციელების პირობები, ჩატარების წესი და წარმოსადგენი საპროექტო წინადადების ფორმა შეფასების კრიტერიუმების ჩათვლით.

აზრი გამოთქვეს:

მ. გერსამიამ თქვა, რომ საფაკულტეტო მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების შერჩევის კრიტერიუმები უნდა იყოს გამჭვირვალე და განიხილოს ფაკულტეტის საბჭომ; ი. კაჭკაჭიშვილმა დააყენა საკითხი კრიტერიუმებში პერსონალის კომპეტენციის შეფასების შესახებ; გ. გოგსაძის აზრით, პროექტში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი არა მხოლოდ თითოეული მონაწილის პოზიცია, არამედ ის აქტივობებიც, რასაც ის განახორციელებს; ნ. დურგლიშვილმა აღნიშნა, რომ გ. გოგსაძის წინადადების რეალიზების შემთხვევაში, აქტივობებისა და პროექტის მონაწილეთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება პროექტის შეფასების შესაბამის კრიტერიუმში პერსონალის კომპეტენციის შეფასების ინტეგრირებაც.

დაადგინეს: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის №22/04 ბრძანებით გამოცხადებული მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში საფაკულტეტო სამეცნიერო-კველვითი პროგრამის განხორციელების პირობები და ჩატარების წესი (თან ერთვის).

მოისმინეს: 6. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობისათვის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: გამოცხადდეს ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმში მონაწილე სტუდენტთა შესარჩევი კონკურსი.

საკონკურსო კომისია განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით:

1. გიორგი კვინიკაძე – საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი;
2. მაია ტორაძე – ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი;
3. თორნიკე თურმანიძე – საერთაშორისო ურთიერობების დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი;
4. ლია წულაძე – სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი, ასოცირებული პროფესორი;
5. ზვიად აბაშიძე – პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი, ასისტენტ-პროფესორი;
6. თეონა მატარაძე – ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების განყოფილების უფროსი;
7. მაგდა გიბიშვილი – სტუდენტი
8. ლევან ლორთქიფანიძე – სტუდენტი

მოისმინეს: 7. თ. დოლბაიამ საბჭოს წევრებს თსუ ინტერდისციპლინურ ცენტრში ფაკულტეტის წარმომადგენლის დასახელება სთხოვა.

აზრი გამოთქვეს: ნ. მაჭარაშვილმა, ი. კაჭკაჭიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: თსუ ინტერდისციპლინურ ცენტრში ფაკულტეტის წარმომადგენლად შერჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი ლია წულაძე.

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დამსწრეთ გააცნო ასოცირებული პროფესორის, ი. იაშვილის განცხადება, რომელიც ითხოვს სამეცნიერო-შემოქმედებით შვებულებას ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში რათგერსის უნივერსიტეტში (აშშ) გამგზავრებათან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა, ნ. დურგლიშვილმა და სხვა.

დაადგინეს: ეთხოვოს თსუ-ის რექტორს მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან 10 აგვისტომდე გაუფორმდეს სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორ ია იაშვილს.

მოისმინეს: 9. საბჭოს წევრებს თ. დოლბაიამ გააცნო წერილი, რომლითაც ითხოვდნენ მე-6 კორპუსის №105 აუდიტორიისათვის გ. ჯიბლაძის სახელის მინიჭებას.

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, მ. შამილიშვილმა, მ. წერეთელმა, ზ. დავითაშვილმა, ნ. მაჭარაშვილმა და სხვ.

დაადგინეს: აუდიტორიისათვის გ. ჯიბლაძის სახელის მინიჭება ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი, რადგან ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულებაზე, დღემდე არ არსებობს აუდიტორიებისათვის იმ საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭების პრაქტიკა, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ჟურნალისტური სკოლის ფორმირებაში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე თამარ დოლბაია

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ნინო დურგლიშვილი

29 ივნისი, 2015

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანი

თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ამირან ბერძენიშვილი
3. ნინო დურგლიშვილი
4. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. ფიქრია ასანიშვილი
7. ალექსანდრე რონდელი
8. სერგი კაპანაძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

ჟურნალისტიკის მიმართულება

13. მარიამ გერსამია
14. დალი ოსეფაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. თამარ დოლბაია
20. გიორგი გოგსაძე
21. მარინა ბოკერია

სტუდენტური თვითმმართველობა

22. შალვა საბაური
23. გიორგი კაკაურიძე
24. თორნიკე ცინაძე
25. მაგდა გიბიშვილი
26. გიორგი როგავა
27. გვანცა გავაშელი
28. ტარიელ ირემაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
ქალბატონ თამარ ვეფხვაძეს

ქ-ნო თამარ,

გთხოვთ შუამდგომლობას აკადემიური საბჭოს წინაშე, რომ დაამტკიცონ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს (2015 წლის 29 იანვრის ოქმი N 1) მიერ განხილული საკითხები:

1. საფაკულტეტო კურსების ჩამონათვალიდან ამოღებულია სავალდებულო კურსი „ფსიქოლოგიის შესავალი". მოგეხსენებათ, ფაკულტეტის პროგრამების კურიკულუმები აგებულია იმგვარად, რომ თითოეული მიმართულების შესავალი კურსი განიხილება მაპროფილებელ კურსად ამა თუ იმ სპეციალობის არჩევისთვის. ამდენად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ახალი ფაკულტეტის შექმნის შემდეგ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამებისთვის, „ფსიქოლოგიის შესავალი" ბუნებრივია, რომ ვეღარ იქნება სავალდებულო საფაკულტეტო საგანი.

2.საბაკალავრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი გეოგრაფია" (დანართი 40) განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

- ამოღებულია კურსი „საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო".
- დაემატა არჩევითი კურსები:
  არჩევითი ორენოვანი კურსი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) *„სამხრეთ კავკასია: სივრცე, საზოგადოება, განვითარება"*, 5 კრ (ი. სალუქვაძე);
  „მიგრაციის კვლევები", (ატილა მელეგი, ბუდაპეშტი);
  „მენტალური კარტირება და კვლევის აუდიოვიზუალური მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში", (ბაბაქ რეზვანი, ამსტერდამი);

3.საბაკალავრო პროგრამაზე „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციას" (დანართი 34) დაემატა არჩევითი კურსი - *„კრიმინალური და სასამართლო თემების გაშუქება" 5კრ.* (დ. ქაშიაშვილი);

4.საბაკალავრო პროგრამაზე „ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციას“ (ქართულ-რუსული პროგრამა) (დანართი 35) არჩევითი კურსს „კონფლიქტების გაშუქება მედიაში“ შეეცვალა სახელი და ეწოდა *„სოციალური კონფლიქტების ბუნება და მათი გაშუქება მასმედიაში“*, 5 კრ. (ლ. ჩხიკვიშვილი);

5.სამაგისტრო პროგრამაზე „პოლიტიკის მეცნიერება“ (დანართი 63) განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- მოდულები შეიცვალა კონცენტრაციებით; მოიხსნა შეთავაზებული კონცენტრაციებიდან ერთ-ერთი კონცენტრაციის აღების ვალდებულება და ამის ნაცვლად, სტუდენტს შეთავაზებული კონცენტრაციების ფარგლებში წარდგენილი კურსების საფუძველზე შეუძლია დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.
- ცვლილებები შევიდა სავალდებულო საგნებში - სპეციალიზირებული უცხო ენა, რომელიც იკითხებოდა 10 კრედიტის მოცულობით პირველ და მეორე სემესტრებში და ჰქონდა სავალდებულო ხასიათი, გახდა არჩევითი);
- თვითმმართველობის კონცენტრაციის ფარგლებში წარმოდგენილ საგანთა ჩამონათვალს ემატება ახალი საგანი - *"ქალაქის პოლიტიკა" 5კრ;*
- სახელწოდება შეეცვალა საგანს „უსაფრთხოება: თეორია და პრაქტიკა“ და ეწოდოს *„უსაფრთხოების თანამედროვე კვლევები“*. 5კრ, (ალ. კუხიანიძე);
- სახელწოდება შეეცვალა საგანს „სახელმწიფო მართვის მიკრო-მაკრო ეკონომიკური პრინციპები“ და ეწოდა „სახელმწიფო და ეკონომიკური პოლიტიკა“, 5კრ (გ. მელიქიძე).

6.სამაგისტრო პროგრამას სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“ (დანართი 64) დაემატა არჩევითი კურსი *„საგანგებო სიტუაციების მართვა“*, 5კრ. (ალ. კუხიანიძე);

7.სამაგისტრო პროგრამას „გენდერის კვლევა“ (დანართი 43) დაემატა არჩევითი კურსი *„რევოლუცია და გენდერი“*, 5 კრ (მ. ბარქაია);

8.სამაგისტრო პროგრამაზე „სოციალური მუშაობა“ (დანართი 59) - სავალდებულო კურსს „სოციალური ადვოკატობა“ მოეხსნა სავალდებულო სტატუსი და გახდა არჩევითი;

9.სამაგისტრო პროგრამას „საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (დანართი 62) დაემატა 2 ახალი არჩევითი კურსი:

„თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკა“, 5 კრ. (რ. გაჩეჩილაძე);

„სოციალური კვლევის მეთოდები საზოგადოებრივ გეოგრაფიაში“, 5 კრ. (ბ. რაზვანი)

პატივისცემით,

თამარ დოლბაია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი

დალი ოსეფაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
30. 01.2015

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ., 1, 0179, ტელ: +995 32 222 02 41, ფაქსი: +995 32 222 51 07
ელფოსტა	chancellery@tsu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ვლადიმერ პაპავა, ელ-ფოსტა: rector@tsu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	თამარ ვეფხვაძე, ტელ: +995 32 229 08 15, ელ-ფოსტა: tamar.vepkhvadze@tsu.ge
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	

სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება	მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებულია თუ ავტორიზებულია	დაფინანსება	სწავლების ენა	ნებადართული გადასასვლელი	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი					სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები					უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება			იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი
								A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი	D ტიპის ტესტი	E ტიპის ტესტი	ენა	მაკალიბრელის გაზარდება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა	ენა	გამოცდა სპეციალობაში	გამოცდა უცხო ენაში	
								1	2	3	4	5									
1.გენდერის კვლევა	სოციალური მეცნიერებები	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი გენდერის კვლევაში	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10		X									100	I გასაუბრება სპეციალობაში 60	II უცხო ენა (ინგლისური ენა B2) 40	
2.სოციოლოგია	სოციალური მეცნიერებები	სოციოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	15		X									100	I სოციოლოგია 60 II გასაუბრება 40		
3.სოციალური მუშაობა	სოციალური მეცნიერებები	სოციალური მუშაობის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	15		X									100	I სოციალური მუშაობა 60 II გასაუბრება 40		
4.ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია	სოციალური მეცნიერებები	მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10		X									100	I მედიისა და კომუნიკაციის სოციოლოგია 60		
5.მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები	სოციალური მეცნიერებები	მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების მაგისტრი,	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	20		X									100	I გასაუბრება 100		
6.მედია და ახალი ტექნოლოგიები	სოციალური მეცნიერებები	ჟურნალისტიკის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	20		X									100	I გასაუბრება 100		

7.პოლიტიკის მეცნიერება	სოციალური მეცნიერებები	პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	20		X									100	I პოლიტიკის მეცნიერება 100		
8.სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები	საჯარო მმართველობის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	20		X									100	I პოლიტიკური მეცნიერება 30 II გასაუბრება 20	III უცხო ენა (ინგლისური ენა B2) 50	
9.ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები	სოციალური მეცნიერებები	ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10		X									100	I საერთაშორისო ურთიერთობები 60	უცხო ენა (ინგლისური ენა B1) 40	
10.დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა	სოციალური მეცნიერებები	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	20		X									100	I საერთაშორისო ურთიერთობები 50 II გასაუბრება	III უცხო ენა (B2) 30	
11.საზოგადოებრივი გეოგრაფია	სოციალური მეცნიერებები	საზოგადოებრივი გეოგრაფიის მაგისტრი,	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	20		X									100	I საზოგადოებრივი გეოგრაფია 100		
12.ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი)	სოციალური მეცნიერებები	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ინგლისურენოვანი	2250	10		X									100	I ევრაზიისა და კავკასიის კვლევები 40 II გასაუბრება 40	III უცხო ენა (ინგლისური ენა B2) 20	
13.დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია	სოციალური მეცნიერებები	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10		X									100	გასაუბრება სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B1) 100		
14.ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები	სოციალური მეცნიერებები	სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	2250	10		X									100	გასაუბრება სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B2) 100		

ანოტაციის შევსების თარიღი 12.09.2014 რექტორი

შენიშვნა:

ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტი

1.ფაკულტეტის საბჭო იკრიბება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს, 17.00 სთ-ზე, VI კორპუსის დარბაზში

2. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ

3. საბჭოს მოწვევის შესახებ ელექტრონული წერილის დაგზავნა ხდება სხდომამდე 2 დღით ადრე

4. საბჭოს დღის წესრიგში საკითხის შეტანის მოთხოვნა შეუძლია ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს სხდომამდე სულ ცოტა 4 დღით ადრე

5. სხდომას ესწრებიან ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სათათბირო ხმით და მოწვეული სტუმრები

6. სხდომის ოქმი განთავსდება ვებ გვერდზე

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა

ზოგადი ინფორმაცია მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N22/04 (30.12.2014) ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფის მიზნით, 2015 წელს უნდა განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა.

პროგრამის ფარგლებში კონკრეტული სამეცნიერო კვლევის (პროექტის) დაფინანსება მოხდება კონკურსის საფუძველზე. ფაკულტეტისთვის გამოყოფილია 75 000 ლარი. ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 20.000 ლარს. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო.

მოთხოვნა საპროექტო წინადადების წარდგენის შესახებ

1. კონკურსის პირობები:

1. პროექტის თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს ფაკულტეტის ძირითად სასწავლო მიმართულებებს.

2. პროექტში მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

3. კონკურსში განაცხადის შემოტანის უფლება აქვს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ასოცირებულ ან/და დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორს.

4. სავალდებულოა პროექტში ფაკულტეტის არანაკლებ 2 სტუდენტის ჩართვა. პროექტის მონაწილე სტუდენტი შეიძლება იყოს აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის საფეხურის არანაკლებ 150 კრედიტისა და არანაკლებ 3.0 GPA-ის რეიტინგის მქონე სტუდენტი, ან/და მაგისტრატურისა, ან/და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტი.

5. საპროექტო წინადადებები, რომლებიც არ იქნება წარმოდგენილი დამტკიცებული მოთხოვნების შესაბამისად ან შეიცავს არასწორ ინფორმაციას, კომისიის მიერ არ განიხილება.

6. პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში პროექტის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენა.

2. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერა:

პროექტი უნდა იყოს მომზადებული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1. თავფურცელი: თავფურცელი უნდა იყოს შევსებული საპროექტო წინადადების ფორმა #1-ის მიხედვით და უნდა შეიცავდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენაზე, პროექტის აბსტრაქტს (მაქსიმუმ 100 სიტყვა), პროექტის ხელმძღვანელის სახელსა და გვარს, მის აკადემიურ სტატუსსა და პროექტის ბიუჯეტს.

2.2. პროექტის შინაარსობრივი ნაწილი (ფორმა #2) უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან:

2.2.1. პრობლემის დასმა (არსებული სიტუაციის ანალიზი) (300-600 სიტყვა): უნდა დასაბუთდეს საკვლევი პრობლემის აქტუალობა და სამეცნიერო ღირებულება საკვლევ საკითხთან დაკავშირებული მიღწევების გათვალისწინებით.

2.2.2. მიზანი და მოსალოდნელი შედეგები (300-600 სიტყვა): უნდა გამოიკვეთოს რა მოსალოდნელი შედეგ(ებ)ი ექნება პროექტს სამეცნიერო დისკუსიის წამოწყების, ან განვითარებისათვის, სასწავლო მასალის და სასწავლო პროცესის გამდიდრებისათვის, ან ზოგადად საზოგადოებაში საკვლევი თემის აქტუალიზაციისათვის. პროექტს უნდა დაერთოს სავარაუდო ჟურნალთა ჩამონათვალი, სადაც ჯგუფი პუბლიკაციის გამოქვეყნებას გეგმავს.

2.2.3 განხორციელების გზები (600-1200 სიტყვა):

ა) მეთოდოლოგია: უნდა აღიწეროს სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები და გამოყენებული მეთოდები;

ბ) აქტივობები: უნდა აღიწეროს კონკრეტულად რა სამუშაოები/აქტივობები განხორციელდება პროექტის მიზნ(ებ)ის მისაღწევად და მიეთითოს შემსრულებელი პირის/პირების ვინაობა, რომელთა კომპეტენციები უნდა შეესაბამებოდეს მათ მიერ განსახორციელებელ აქტივობებს.

2.3 პერსონალი (ფორმა #3): უნდა მიეთითოს პროექტში ჩართული პირების პოზიცია ფაკულტეტზე და პროექტში. პროექტს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი (ფაკულტეტის

პროფესორი, ასოცირებული ან/და დოქტორის ხარისხის მქონე ასისტენტ-პროფესორი), რომელიც იქნება პასუხისმგებელი პროექტის როგორც ფინანსური, ასევე პროგრამული ანგარიშების მომზადებასა და მიმდინარეობაზე.

2.4. პროექტის ბიუჯეტი (ფორმა #4): პროექტის ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი ლარებში და არ უნდა აღემატებოდეს 20.000 ლარს.

პროექტში ჩართულ პროფესორთა შრომის ჯამური ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30%-ს. პროექტის ფარგლებში ინვენტარის, ლიტერატურისა და საკანცელარიო ნივთების შეძენა ხორციელდება თსუ-ს შესყიდვების სამსახურის მიერ. პროექტის ფარგლებში შეძენილი ინვენტარი და ლიტერატურა პროექტის დასრულების შემდეგ გადადის ფაკულტეტის ბალანსზე.

პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად. **პირველი ტრანში** - 40%; **მეორე ტრანში** - 50%, რომელიც ჩაირიცხება პირველი ტრანშის დასრულების შემდეგ ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე; **მესამე ტრანში** - 10%, პროექტის საბოლოო ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენისა და დადებითი შეფასების საფუძველზე.

2.5. სამუშაო გეგმა (ფორმა #5) წარმოდგენილი უნდა იყოს თვეების მიხედვით. უნდა აისახოს ყოველი თვის განმავლობაში განსახორციელებელი სამუშაოები/აქტივობები. პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 9 თვე (2015 წლის 15 მარტიდან 15 დეკემბრის ჩათვლით).

2.6. ტექნიკური დიზაინი: საპროექტო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი შრიფტით Sylfaen, ზომა 11, 1.5 ინტერვალი, ველი სტანდარტული (1 პუნქტი, ანუ 2.54 სმ. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ).

2.7. დანართები:

1. მონაწილეთა რეზიუმეები;

2. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ; ბაკალავრიატის სასწავლო საფეხურზე მყოფი სტუდენტისათვის ცნობა სტატუსის, GPA-სა და კრედიტების რაოდენობის შესახებ;

3. ბიბლიოგრაფია (APA სტილი);

4. სხვა/დამატებითი ინფორმაცია პროექტის ხელმძღვანელის შეხედულებისამებრ (არააუცილებელი კომპონენტი).

3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების პროცედურები, კრიტერიუმები და ვადები:

პროექტის შეფასებისათვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება საკონკურსო კომისია. კომისიაში თითოეული მიმართულებიდან წარმოდგენილი იქნება

1 წევრი და დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში. შეიქმნება აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს საბუთების მიღებას და სამეცნიერო-კვლევითი პროექტით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციის გაწევას.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

#	კრიტერიუმი:	კრიტერიუმის წონა
1.	საკვლევი თემის აქტუალობა	10%
2.	სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მეცნიერული ღირებულება და ინოვაცია	25%
3.	ბიუჯეტი	20%
4.	მეთოდოლოგია	20%
5.	აქტივობები, მათი განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის გათვალისწინებით	25%
	ჯამი:	100%

4. საპროექტო წინადადების წარდგენა

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საპროექტო წინადადება უნდა წარადგინონ როგორც ელექტრონული ფორმით (ჩაწერილი CD-ზე), ასევე ბეჭდური სახით, ფაკულტეტის კანცელარიაში (მისამართი: თსუ-ს VI კორპუსი, ჭავჭავაძის გამზ. #8 ოთახი #203ა) 2015 წლის 3 თებერვლიდან 2 მარტის 17 საათამდე. კონსულტაციისათვის მიმართეთ ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტებს პროექტის გამოცხადებიდან ყოველ ხუთშაბათს, 14 - 18 სთ.

მისამართი: თსუ VI კორპუსი, ოთახი # 406; ტელ: 2 221101 (228), ელ-ფოსტა: socpol.science@tsu.ge.

საპროექტო წინადადების ელექტრონული ვერსია და შესავსები ფორმები იხილეთ ფაკულტეტის ვებ-გვერდზე: http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/social/

კონკურსში გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2015 წლის 13 მარტს.

საპროექტო წინადადება

პროექტის სახელწოდება (*ქართულად*):

პროექტის სახელწოდება *(ინგლისურად)*:

პროექტის ხელმძღვანელი *(სახელი გვარი, აკადემიური სტატუსი)*

პროექტის აბსტრაქტი *(მაქსიმუმ 100 სიტყვა)*

პროექტის ბიუჯეტი: --------- (*ლარი*)

პროექტის შინაარსობრივი ნაწილი

1. პრობლემის დასმა *(300-600 სიტყვა):*

2. პროექტის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები *(300-600 სიტყვა):*

3. პროექტის განხორციელებლის გზები *(600-1200 სიტყვა):*

3.1 მეთოდოლოგია:

3.2 აქტივობები:

პერსონალი:

	სახელი და გვარი	აკადემიური სტატუსი	პოზიცია პროექტში

ბიუჯეტის ფორმა

	ხარჯვის კატეგორია	ერთეულის ფასი	ერთეულის სახეობა	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ჯამური ღირებულება	1 ტრანში 40%	2 ტრანში 50%	3 ტრანში 10%	ტრანშების ჯამი
1	**პერსონალის შრომის ანაზღაურება**								
1.1	**პროფესორის შრომის ანაზღაურება (30%)**								
1.1.1									
1.1.2									
1.2	**პროექტის სხვა მონაწილეების ანაზღაურება (პუბლიკაციის თარგმნა და რედაქტირება)**								
1.2.1									
1.2.2									
2	**მივლინება**								
2.1	**მივლინება ქვეყნის შიგნით**								
2.1.1	მგზავრობის ხარჯი								
2.1.2	მივლინების დღიური ნორმისა და საცხოვრებელი ხარჯი								
2.2	**მივლინება ქვეყნის გარეთ**								
2.2.1	მგზავრობის ხარჯი								
2.2.2	მივლინების დღიური ნორმისა და საცხოვრებელი ხარჯი								
3	**საქონელი და მომსახურება**								
3.1	ინვენტარის/ტექნიკის და საკანცელარიო ნივთების შეძენის ხარჯი (500 ლარზე ნაკლები ღირებულებით)								
3.2	პუბლიკაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარჯები (გამოქვეყნების ხარჯი)								

3.3	სტატისტიკური ინფორმაციის შესყიდვის ხარჯები								
3.4	პროექტის სხვა მონაწილეების დაფინანსება (მგზავრობის და დღიური ხარჯებით)								
4	**ძირითადი აქტივები** (500 ლარზე მეტი ღირებულების ინვენტარი.)								
4.1	კომპიუტერული ტექნიკა								
4.2	ლიტერატურა								
ბიუჯეტის ჯამი									

ფორმა #5

პროექტის სამუშაო გეგმა

#	აქტივობის ტიპი	განმახორციელე-ბელი პირები	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე
1.										
2.										
3.										
4.										
5.										
6.										